საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 1 19 02383497

09/09/2019

შ.პ.ს."ნიუ პოინტ"
თამარ ქურთაულს

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება,
I მიკრო/რაიონი, კორპუსი 15, ბინა 30

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს უფროსს
ბატონ **ვასილ პეტრიაშვილს**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ **გიორგი ციბაძეს**
0160, თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. N12

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი 2220644 წერილი, რომელიც ეხება რომელიც ეხება დაბა გუდაურში, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მიმდებარედ (ს/კ 74.06.11.423, 74.06.11.340, 74.06.11.576, 74.06.11.575, 74.06.11.270, 74.06.11.657, 74.06.11.658, 74.06.11.990, 74.06.11.991 74.06.11.032) საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სამუშაოების ჩატარების საგზაო მოთრაობის ორანიზების სქემას და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ზომების გატარების საკითხს.

ვითვალისწინებთ რა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის **მცხეთა-მთიანეთის** მთავა რი სამმართველოს მოსაზრებას, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილ სქემას და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ აღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- სამუშაოთა წარმოების ადგილები (ნაწილობრივი შეზღუდვის ადგილები) ღამის საათებში განათდეს და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები განთავსდეს ჩვენთან შეთანხმებული სქემის შესაბამისად;
- მუშაობის (მოწყობის) პროცეში მშენებელმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის სპეც. ფორმით და ალმით აღჭურვილი თანამშრომლების გამოყოფა, შეზღუდვის ადგილებში მოძრაობის დასარეგულირებლად;
- საავტომობილო გზაზე ავტომობილების მოძრაობის ინტენსიურობის გაზრდის და საცობის წარმოქმნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ იქნეს შეწყვეტილი სამუშაოები.
- სამუშაოების დასრულებისთანავე დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი;
- სამუშაოების დაწყების და დასრულების შესახებ წინასწარ ეცნობოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის **მცხეთა-მთიანეთის** მთავარი სამმართველოს სამორიგეო ნაწილს (ტელ: 577 77 39 03);
- **სამუშაობების დაწყება შეთანხმებული იქნას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან;**

- მეორე ადრესატს: გთხოვთ უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე თანდართული სქემის შესაბამისად, შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაუშვათ სამუშაოების დაწყება და გაატარეთ ზომები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. აუცილებლობის შემთხვევაში საჭირო რაოდენობის საპატრულო ეკიპაჟის გამოყოფა შეზღუდვის ადგილებში სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის დასარეგულირებლად.

დანართი: სქემა ერთ ფაილად;

პატივისცემით,

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

რთველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

## საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-14/10522
31/07/2019

10522-2-14-2-201907311156

შპს „ნიუ პოინტ"-ის დირექტორს
ბატონ **გიორგი კირკიტაძეს**

ასლი: შპს „ჯავახავტოგზა"-ს დირექტორს
ბატონ **ნოდარ ინასარიძეს**

ასლი: უცხოური საწარმოს ფილიალის ,,სს ინსტიტუტი იგჰ,
სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და
განვითარების საკითხებში" დირექტორს
ბატონ **რობერტ პეტროსიანს**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2019 წლის 22 ივლისის წერილი (დეპარტამენტში რეგისტრირებულია 2019 წლის 22 ივლისს N18769/2), რომელშიც ითხოვთ საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის მოძრაობის უსაფრთხოების მუდმივი სქემის შეთანხმებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი სამუშაოები განხორციელდეს წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემის შესაბამისად, რომელიც ასევე უნდა შეთანხმდეს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან.

პატივისცემით

გიორგი ციბაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
info@georoad.ge




| გუდაურში მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (ს.კ 74.06.11.423 74.06.11.340; 74.06.11.576; 74.06.11.575; 74.06.11.270; 74.06.11.657; 74.06.11.658; 74.06.11.990; 74.06.11.991; 74.06.11.032;) მიმდებარედ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. | | | STS SMART TRANSPORTATION SOLUTION ტელ: 577 155575 | |
|---|---|---|---|---|
| შემსრულებელი | შ.პ.ს "STS" | ნახაზის დასახელება | თარიღი | 2019 წელი |
| დამკვეთი | შ.პ.ს " ნიუ პოინტ" | საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. | მასშტაბი | პირობითი |